



კულტორული რისკის შეფასების პრიბლები

რეზიუმე

თანამედროვე მზარდი ორგანიზაციის სტა-
ბილურობა და გრძელვადიანი წარმატება
წარმოუდგენელია, თუ მისი მმართველობის
სისტემაში სათანადო ადგილი არ უკავია რისკის
მართვას, რისკის მართვა წარმოადგენს განმეო-
რებადი სისტემატიზირებული პროცესების ერ-
თობლიობას. ის იგეგმება, ხორციელდება, კონ-
ტროლდება და მუდმივად იხვეწება იმისათვის,
რომ გაიზარდოს ორგანიზაციის წინაშე არსე-
ბული ყველა მნიშვნელოვანი შესაძლებლობის,
მიზნის მიღწევის სტრატეგიისა და ბიზნეს-გებ-
მის რეალიზაციის ალბათობა ან მაქსიმალუ-
რად შემცირდებს ამ უკანასკნელთა ხელის-
შემშლელი ფაქტორებისა და მოვლენების
მოხდენის ალბათობა, წინამდებარე სტატიაში ახ-
სნილია ის მნიშვნელობა, რომელიც აუდიტში
რისკზე თრიენტირებული მიღვომებს დამკი-
დრებას გააჩნია, როგორც ორგანიზაციისათვის
ისე თვით აუდიტის ფაქტისათვის. სხვადასხ-
ვა საუკეთესო პრაქტიკისა და შიდა აუდიტორ-
თა პროფესიული სტანდარტების ფონზე, ახს-
ნილია რისკის მართვასა და აუდიტს შორის
არსებული კომპლექსური ურთიერთობები და
ამ ურთიერთობის მიზნები.

რისკზე ორიენტირებული აუდიტის მიზანია
ორგანიზაციის მმართველობითი სისტემის უმაღ-
ლესი რგოლისათვის დამოუკიდებელი რწმუნებ-
ის მიწოდება იმის თაობაზე, რომ: უმაღლესის
მენეჯმენტის მიერ ყველა დონეზე გამოყენებუ-
ლი რისკის მართვის პროცესები ხორციელდება
დადგენილი პოლიტიკის შესაბამისად; რისკის
მართვის პროცესები სწორადად ორგანიზებული;
მენეჯმენტის მიერ გამოყენებულ რისკზე პა-
სუხის ღონისძიებები არის საკმარისი და ეფექ-
ტიანი და უზრუნველყოფებ ამ რისკის შემ-
ცირებას საბჭოსათვის მისაღებ დონემდებარება;
ორგანიზაციას გააჩნია ქმედითი შიდა კონტრ-
ლის სისტემა, რომელიც საკმარისად ამცირებს
მენეჯმენტის მიერ შერჩეულ რისკებს.

საკვანძო სიტყვები: აუდიტი. რისკები. აუ-
დიტორული რისკი. რისკების იდენტიფიცირება.

შესაბამისობა

აუდიტორმა უნდა ჩაატაროს რისკის შესაფა-
სებელი პროცედურები, რათა უზრუნველყოს

07062 ვარსედაშვილი
E-mail: gvanca@geu.edu.ge
სტუ-ს დოქტორანტი

საფუძველი არსებითი უზუსტობის რისკების
გამოსავლენად და შესაფასებლად ფინანსური
ანგარიშგებისა და კონკრეტული მტკიცებების
დონეზე. თუმცა, რისკის შესაფასებელი პროცე-
დურები, თავისთვის კონკრეტული მტკიცე-
ბულებებს, რომლებზეც უნდა დაეყრდნოს აუ-
დიტორული მოსაზრება. რისკის შესაფასებე-
ლი პროცედურების მიზანია არსებითი უზუს-
ტობის რისკების გამოვლენა და შეფასება. ამი-
სათვის აუდიტორს ევალება სამეურნეო სუბ-
იექტისა და მისი გარემოს, მათ შორის, შიდა
კონტროლის შესწავლა. ინფორმაციის მოპოვე-
ბა შესაძლებელია გარე წყაროებიდან, მაგალი-
თად, ინტერნეტიდან და კომერციული პუბლიკა-
ციებიდან, ასევე შიდა წყაროებიდან, როგორი-
ცაა სამეურნეო სუბიექტის ძირითად პერსონა-
ლოთან გასაუბრება. სამეურნეო სუბიექტის
შესწავლის პროცესი ინფორმაციის მოპოვების,
გაანალიზებისა და განახლების უწყვეტი, დი-
ნამიკური პროცესია, რომელიც გრძელდება
მთელი აუდიტის განმავლობაში.

მიზანითადი ნაწილი

აუდიტორული შემოწმებისას აუდიტორმა
მიზანდ უნდა დაისახოს პროცედურათა გან-
საზღვრა და მათი იმგვარად გამოყენება, რომ
მინიმუმადე დაიყვანოს რისკი. აუდიტორული
რისკი ნიშნავს იმის რისკს, რომ აუდიტორი
წარმოადგენს არაადეკვატურ დასკვნას მაშინ,
როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებუ-
ლია არსებითი უზუსტობები. აუდიტორული
რისკი სამი კომპონენტისაგან შედგება: თან-
დაყოლილი რისკი, კონტროლის რისკი და შე-
უმნევლობის რისკი.

თანდაყოლილი რისკი არის რომელიმე ან-
გარიშის ნაშთის ან რომელიმე კატეგორიის
ოპერაციის მიღრეკილება ისეთი უზუსტობისკენ
(ცდომილებისკენ), რომელიც ცალკე აღებული
ან სხვა ანგარიშთა ნაშთებისა და ოპერაციების
უზუსტობებთან ერთად შეიძლება არსებითი
იყოს შესაბამისი შიდა კონტროლის მეთოდების
არარსებობის გამო. აუდიტორი შეაფასებს



თანდაყოლილ რისკს, მის პირობებს და იმ არეგბის განსაზღვრის მახასიათებლებს, რომლებშიც შეცდომის აღმოცენების რისკი შეიძლება დიდი იყოს.

კონტროლის რისკი არის იმის რისკი, რომ უზუსტობა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ქონდეს რომელიმე ანგარიშის ნაშთში ან რომელიმე კატეგორიის თავრაციაში (რომელიმე ცალქე ან სხვა ანგარიშთა ნაშთებისა და ოპერაციების უზუსტობებთან ერთად შეიძლება არსებოთი იყოს), ვერ იქნება დროულად აღმოჩნდილი ან თავიდან აცილებული ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების მიერ.

რისკის შესაფასებელი პროცედურები უნდა მოიცავდეს:

ა) სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობისა და სხვა პირთა გამოკითხვას სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში, რომლებსაც, აუდიტორის აზრით, შეიძლება

გააჩნდეთ ისეთი ინფორმაცია, რომელიც, სავარაუდოდ, დაეხმარება თადღითობით

თუ შეცდომით გამოწვეული არ სებითი უზუსტობის რისკების გამოვლენაში;

- ბ) ანალიზურ პროცედურებს;
- გ) დაგვირვებასა და დათვალიერებას.

რისკის შესაფასებელი პროცედურები უზრუნველყოფს აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც განამტკიცებს რისკების აუდიტორის შეფასებას ფინანსური ანგარიშებისა და ცალკეული მტკიცების დონეზე. თუმცა, ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები არ არის ერთადერთი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია რისკების შეფასების განსამტკიცებლად. რისკის შესაფასებელი პროცედურების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები შეიძლება შეივსოს დამატებითი აუდიტორული პროცედურებით (რომლებიც რეაგირებს გამოვლენილ რისკზე), როგორიცაა კონტროლის ტესტები და/ან ძირითადი პროცედურები.

აუდიტორი მიმართავს პროფესიულ განსჯას, რათა განსაზღვროს და დაგეგმოს რისკის შესაფასებელი პროცედურები, ასევე, რა დონეზე დასჭირდება სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს შესწავლა. იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორი პირველად ატარებს მოცემული სამეურნეო სუბიექტის

აუდიტს, საჭირო მონაცემების მოპოვებასა და მათ დოკუმენტირებას ხშირად დიდი დრო სჭირდება. თუმცა, თუ პირველ წელს მოპოვებული ინფორმაცია კარგად არის დოკუმენტირებული, მომდევნო წლებში ინფორმაციის განახლებას გააჩნდება ს გაცილებით ნაკლები დრო უნდა

დასჭირდეს, ვიდრე პირველ წელს. აუდიტორმა საქმარისი რაოდენობის რისკის შესაფასებელი პროცედურები უნდა ჩატაროს, რათა გამოავლინოს ბიზნესისა და თადღითობის რისკის ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია არსებითი უზუსტობის გამოწვევა ფინანსურ ანგარიშგებაში. აქ იგულისხმება ნებისმიერი ისეთი მოვლენის ან

გარემოების განხილვა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ, აქვს თუ არა სამეურნეო სუბიექტს უნარი, განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

რისკის შესაფასებელი სამივე პროცედურა უნდა ჩატარდეს აუდიტში, მაგრამ აუცილებელი არ არის, რომ ყოველთვის ყველა საპექტის გაზება იყოს საჭირო. ბევრ სიტუაციაში ერთი ტიპის პროცედურის შედეგმა შეიძლება მეორის ჩატარების საჭიროება გამოავლინოს. მაგალითად, გაყიდვების მენეჯერთან გასაუბრების დროს შეიძლება გამოვლინდეს უჩვეულო, მაგრამ მნიშვნელოვანი მოცულობის რეალიზაციის ხელშეკრულების არსებობა. შედეგად შეიძლება საჭირო გახდეს გაყიდვების ხელშეკრულების შემოწმება და რეალიზაციის მარებზე მისი გავლენის გაანალიზება. სხვა შემთხვევაში, წინასწარ საოპერაციო შედეგებზე ჩატარებული ანალიზური პროცედურების შედეგების მიხედვით შეიძლება გარკვეული კითხვების დასმა გახდეს საჭირო ხელმძღვანელობისთვის.

ამ კითხვებზე პასუხებმა შეიძლება დაგვანახოს გარკვეული დოკუმენტების დათვალიერების, ან სამეურნეო სუბიექტის გარკვეულ მოქმედებებზე (პროცედურებზე) დაგვირვების აუცილებლობა.

აუდიტორი გამოკითხვებს ატარებს რისკის შესაფასებელ სხვა პროცედურებთან ერთობლიობაში, რაც მას ეხმარება არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენაში. გამოკითხვების მიზანია, აუდიტორმა შეძლოს ყველა საჭირო ასპექტის გარკვევა, რომლებიც ჩამოყალიბებულია ასს 315 მე-11 და მე-12 კუნქტებზი.

დასკვნა

როგორც წესი, ინფორმაციის უმეტეს ნაწილს აუდიტორი იღებს ხელმძღვანელობისა და ფინანსურ ანგარიშებაზე პასუხისმგებელი პირებისგან. თუმცა, სამეურნეო სუბიექტის ფარგლებში სხვადასხვა დონის ხელმძღვანელი პერსონალისა და სხვადასხვა უფლებამოსილების მქონე თანამშრომლების გამოკითხვამ შეიძლება განსხვავებული ასპექტები წარმოაჩინოს



და დამატებითი ინფორმაცია მოგვცეს არსებოთი უზუსტობის ისეთი რისკების დასადგენად, რაც, სხვა შემთხვევაში, შეიძლება ვერ გამოვლენილიყო. მაგალითად: გაყიდვების მქნეჯერთან გასაუბრების შედეგად შეიძლება გამოვლინდეს, რომ რეალიზაციის გარკვეული ოპერაციები დაჩქარებულად გაფორმდა (საბაზო შეგებო პერიოდის მიწურულს) და ბუღალტრულად არ აისახა სამეურნეო სუბიექტის ამონ-

აგების აღიარების პოლიტიკის შესაბამისად.

როგორც ვნახეთ, შიდა აუდიტში რისკზე ორიენტირებული მიღვომების გამოყენება მრავალი საკითხის კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს. ის თანაბრად ეხება, როგორც შიდა აუდიტის საქმიანობის წლიურ და ოპერაციულ დაგეგმვას, ისე ორგანიზაციის რისკის მართვის პროცესებსაც, რაც მთლიანად ორგანიზაციას გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს.

ბაზობნებული

1. ბსფ. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სახელმძღვანელო მცირედი საშუალო საწარმოთა აუდიტში. ტომი 1 - ძირითადი ცნებები. მეორე გამოცემა. 2013.

2. Johnstone K.M., Gramling A.A., Rittenberg

ლიტერატურა

L.E., Auditing A Risk-Based Approach to Conducting a Quality Audit. USA: Cengage Learning, 2014.

3. Pickett K.H. Audit Planning A Risk Based Approach. Canada: John Wiley and Sons Inc. 2006. 306 p.

СЕТЕВОЕ ПЛАНИРОВАНИЕ АУДИТА

ИРИНЕ ПАРСЕГАШВИЛИ - докторант ГТУ

Резюме

Стабильность и долгосрочный успех организаций невозможен, если в управлении не имеет надлежащее место система управления рисками. Управление рисками является систематический процессом. Оно планируется, выполняется, контролируется и постоянно совершенствуется с целью повышения всех важных способности организации. достижения цели стратегии и бизнес-плана в течение реализации возможности или минимизации предотвращающих факторов. В этом статье объясняется значение, которое имеет оценки рисков для аудита, как для организация так и для функции аудита. Разнообразие лучших практик и профессиональных стандартов объясняет сложные отношения между управления рисками и аудита и цели этих отношений.

Основная цель аудита на основе рисков доставка независимых сведений для посредников о том, что: на всех уровнях процессы управления рисками осуществляется в соответствии с установленными правилами; процессы управления рисками организованы должным образом, организация имеет эффективную систему внутреннего контроля, достаточную уменьшить риски, выявленные руководством.

NETWORK PLANNING OF AUDIT PROCESS

IRINE FARSEGASHVILI - PhD of GTU

Summary

Stability and long-term success of modern organization is unimaginable without risk management. It is a systematic repetitive process. It is planned, performed, monitored and constantly improved in order to increase the possibility of organizational goal, implementation of its strategy and business-plan or minimize the probability of later hindering factors. This article explains the importance of risk-based audit as for the organization, as well as for audit functions. A variety of best practices and professional standards in the wake of the internal audit, explain the connection between risk management and audit and the complexity of this relations. The aim of the risk-based audit is to transfer information to the highest levels of authorities about that: all the processes of risk management are carried out according to the established policy; risk management processes are organized properly; risks used by managers are answered sufficiently and effectively and they provide the acceptable levels of this risk; the organization has an effective internal control system that sufficiently reduces the risk identified by management.